იოსებ არჩვაძე

მოსახლეობის ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსი: არსი და გამოყენების არეალი

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის დოქტორი

ბოლო წლებშიწლებში საზოგადოებრივი განვითარების მდგომარეობის სურათის შესაქმნელად შეინიშნებაშეინიშნება მრავალგანზომილებიანი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების გამოყენების ზრდის ტენდენცია. ასეთი ინდიკატორების ფორმირებაში „პარიტეტულ საწყისებზე" მონაწილეებენ როგორც ეკონომიკური, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების - შემოსავლების, ბედნიერების, ჯანმრთელობის, სოციალური უფლებების, პოლიტიკური თავისუფლებების და ა.შ. ინდიკატორებიც[1]. ამასთან, თავად ეკონომიკურ ინდიკატორებშიც შეინიშნება მისი კომპონენტების სულ უფრო გაფართოებისა და ფაქტობრივად, ეკონომიკის „უსაზღვრო", „უსაზღვრებო" დახასიათების მცდელობაც[2].

ამასთან, **ერთი** მაჩვენებლით, რაც უნდა განზოგადებული, ინტეგრირებული, სინთეზური, კომპლექსური შინაარსის მატარებელი იყოს იგი, შეუძლებელია საზოგადოებრივი განვითარების ყველა ასპექტის დახასიათება. იმას თავი რომც დავანებოთ, რომ ცალკეული კომპონენტების წონების დადგენა მკვლევართა სუბიექტურ მიდგომას უფრო ასახავს, ვიდრე ობიექტურ რეალობას, ამგვარი მცდელობა ძალიან ჩამოგავს შუა საუკუნეებში *ფილოსოფიური ქვის,* ანუ იმ ნივთიერების ძიების პროცესს, რომელიც ნებისმიერი ლითონის ოქროდ გადაქცევის შესაძლებლობას იძლეოდა. ამასთან, მრავალი ქვეყნის ეკონომიკური და „სინთეზური" ინდიკატორების შედარება ადასტურებს, რომ **მაღალი დადებითი კორელაცია მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდასა და მაგალითად, ბედნიერების საერთაშორისო ინდექსს შორის, მხოლოდ დაბალგანვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.** ეკონომიკური ზრდის პარალელურად მცირდება კავშირი ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ბედნიერების განცდას შორის. მაგალითად, ბედნიერების ინდექსის მიხედვით მსოფლიოს 151 ქვეყნიდან მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტით პირველ ადგილზე მყოფი ლუქსემბურგი (საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით) ბედნიერების ინდექსით მხოლოდ 138-ე ადგილზეა, ხოლო მეორე ადგილზე მყოფი კატარი - 149-ზე, მაშინ როდესაც ეკონომიკურად მათზე ჯერადად ჩამორჩენილი საქართველო (მთლიანი შიგა პროდუქტით მოსახლეობის ერთ სულზე - 116-ე ადგილი მსოფლიოში) - 46-ე ადგილზე[3]. ამიტომ ვფიქრობ, მეცნიერული ძალისხმევა უნდა წარიმართოს არა ერთი რაიმე „მეგა-„ თუ „სუპერინდიკატორის" ფორმირებაზე, რომელიც „ყოვლისმომცველად" დაახასიათებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობას, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების (ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური, ეთიკური და ა.შ.) ურთიერთზეგავლენისა და განსაზღვრის

[1] დღეისათვის მაგალითად, საერთაშორისო პრაქტიკაში უკვე ანგარიშობენ ისეთ ინდიკატორებს, როგორებიცაა **ცხოვრების ხარისხის ინდექსი** (Quality-of-life Index), **ცხოვრებით კმაყოფილების ინდექსი** (Satisfaction with Life Index), **ბედნიერების საერთაშორისო ინდექსი** (ინგლისურად Happy Planet Index), **მთლიანი ეროვნული ბედნიერების ინდექსი (**Gross national happiness Index). აღნიშნულ ინდიკატორების შემდგენლები, სარგებლობენ რა იმით, რომ არ არსებობს რაიმე „ბერლინის კედელი" ეკონომიკურ საქმიანობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებს შორის, ცდილობენ „ერთ ჭერქვეშ" მოაქციონ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ასპექტები. მაგალითად, *ცხოვრების ხარისხის ინდექსის* ცხრა კომპონენტიდან მხოლოდ ორია ეკონომიკური შინაარსის მატარებელი (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე და უმუშევრობის დონე).

[2] სპეციალისტები სერიოზულად მსჯელობენ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ელემენტების შემდგომ გაფართოებაზეც, მთლიან შიგა პროდუქტში მანამდე გაუთვალისწინებელი საქმიანობის სახეობათა ასახვაზე (მაგალითად, მთლიან შიგა პროდუქტში დიასახლისის შრომის ღირებულებითი კომპონენტის შეტანაზე და სხვ.)...

[3] იხ.: Happy Planet Index – 2012. - http://www.happyplanetindex.org/data/. უფრო მეტიც, ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 9,5-დან 14,0 ათას დოლარამდეა, (ასეთი სახელმწიფო კი ამჟამად მსოფლიოში ორ ათეულამდეა), დასახელებულ ინდიკატორებს შორის უარყოფითი კორელაცია აღინიშნება - რაც უფრო მაღალია მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტი, მით უფრო დაბალია ამ ქვეყნის მცხოვრებთა შორის ბედნიერების განცდის მაჩვენებელი. - იხ.: Н. Петрова. Счастье в условных единицах. – «Коммерсантъ Деньги» № 51(908), 24.12.2012.

მასშტაბების დამდგენი ინდიკატორების შემუშავებაზე, თანაც ისე, რომ ეს ინდიკატორები დაეფუძნებიან *ეკონომიკის* ***განმსაზღვრელ*** *როლს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სახეობათა შორის ეკონომიკის თავისებურ* „გეოცენტრულ სისტემას".

ერთერთ ასეთად მიგვაჩნია **მოსახლეობის ეკონომიკური კმაყოფილების, ან დაკმაყოფილების ინდექსი,** რომელიც გვიჩვენებს კორელაციის ხარისხს მაკროეკონომიკური ზრდასა და პიროვნების (შინამეურნეობის) ეკონომიკური, მატერიალური მდგომარეობის ცვლილებას, უფრო სწორად ამგვარი აღქმის ცვლილებას შორის.

ეკონომიკური საქმიანობა შეზღუდული რესურსების პირობებში საზოგადოებისა და მისი წევრების მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების პროცესია[4]. თუმცა თავად ეს მოთხოვნილებები მუდმივად განვითარებადი და მზარდი სიდიდეებია, საზოგადოებრივი წარმოების განვითარების კვალობაზე ადამიანებს უყალიბდებათ სულ უფრო წინ წაწეული, დახვეწილი და მრავალმხრივი მოთხოვნილებები. ამიტომ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე, ხარისხი, როგორც წესი, იზომება არა ზოგადად, არამედ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ დროსა და გარემოში. ამიტომაა, მაგალითად, დოლარულ განზომილებაში, ასე რადიკალურად განსხვავებული სიღარიბის დონეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ადამიანები თავიანთ ქმედებებში, როგორც წესი, უნდა იყვნენ რაციონალურები და ეკონომიურები, რის გამოც მათი მონაწილეობა ეკონომიკურ პროცესში, საზოგადოებრივ წარმოებაში ეფუძნება *ეკონომიკური სარგებლის* მიღებას, *სარგებლიანობას.* ამიტომ მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ და რამდენად ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის (მთლიანი შიგა პროდუქტი) ზრდისას ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დამარცხება 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში განაპირობა არა მარტო ქვეყანაში ბოლო წლებში ფეხმოკიდებულმა სელექციურმა სამართლიანობამ, დემოკრატიის შეზღუდვამ და ე.წ. „ციხის კადრებმა", არამედ ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის კვალობაზე მოსახლეობის კეთილდღეობის არასაკმარისად ზრდამ. ჩვენი შეფასებით, **ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის ყოველი ერთი პროცენტით მატების პირობებში შინამეურნეობათა რეალური შემოსავლების მატების კოეფიციენტი 2004-2011 წლებში 1996-2003 წლებთან შედარებით 4-ჯერ და მეტად დაეცა.** საქართველოს შინამეურნეობათა სულ უფრო დიდი ნაწილი ვერ გრძნობდა კავშირს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას შორის[5].

შინამეურნეობათა შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკის შედარება მთლიანი შიგა პროდუქტის დინამიკასთან იძლევა შესაძლებლობას, **დადგინდეს კორელაცია საზოგადოებრივი დოვლათის ზრდასა და შინამეურნეობათა კეთილდღეობის ცვლილებას შორის,** მაგრამ იგი არ იძლევა პასუხს კითხვაზე - **რამდენად კმაყოფილია პიროვნება (შინამეურნეობა) საკუთარი მატერიალური მდგომარეობის ცვლილებით.** მოთხოვნილების დაკმაყოფილება იზომება არა მარტო მოხმარებული დოვლათის და მისი ცალკეული სახეობების რაოდენობრივი პარამეტრებით, არამედ აღნიშნულით პიროვნების (შინამეურნეობის) დაკმაყოფილების სუბიექტური აღქმითაც.

ასეთ პირობებში საჭიროა ახალი ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს ცალკეული პიროვნებების, შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, კეთილდღეობის ზრდის აღქმის დამოკიდებულებას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან[6].

---

[4] აქ აბსტრაგირებას ვახდენთ იმ გარემოებისაგან, რომ ეკონომიკა კი უნდა ემსახურებოდეს ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ხალხის კეთილდღეობას, თუმცა განსხვავებული პოლიტიკის წყალობით სხვადასხვა ქვეყანაში და ხელისუფლებაში მყოფი განსხვავებული პოლიტიკური ძალის მიერ ეს ამოცანა განსხვავებული წარმატებით ან საერთოდ არ ხორციელდება. უფრო მეტიც, ზოგჯერ „მაღალი იდეალების", ამოცანების გადაჭრას დაუნდობლად ეწირება ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და მთელი თაობების ინტერესებიც კი. ასე იყო, მაგალითად, „კომუნიზმის ნათელი იდეალების" რეალიზაციას საბჭოთა კავშირში, მასობრივ რეპრესიებს რომ თავი დავანებოთ, თან სდევდა მოსახლეობის მიმდინარე მოხმარების მკვეთრი ხელოვნური შეზღუდვა.

[5] 2011 წელს 2003 წელთან შედარებით რეალურ განზომილებაში მთლიანი შიგა პროდუქტის 1,6-ჯერ ზრდის პირობებში შინამეურნეობათა სამომხმარებლო ხარჯების მოცულობა მხოლოდ 3,2 პროცენტით გაიზარდა, მთლიანი ხარჯები კი - 7,5 პროცენტით. ეს ხარჯები კიდევ უფრო მოკრძალებული იქნებოდა, რომ არა შრომითი მიგრანტების მიერ უცხოეთიდან საქართველოში გადმოგზავნილი სახსრები, რომელთა მოცულობა იმავე პერიოდში რეალურ განზომილებაში (სამომხმარებლო ფასების ინდექსზე დეფლირებით) 2,8-ჯერ გაიზარდა.

[6] ჩვენ აქ აბსტრაგირებას ვახდენთ იმ გარემოებისაგან, რომ თავად „კეთილდღეობა" და „კმაყოფილება" არ არიან სინონიმური ცნებები და რომ შეიძლება ცალკეული მოქალაქის (შინამეურნეობის) კეთილდღეობა იზრდებოდეს, მაგრამ ის ამით კმაყოფილების ზრდას ვერ გრძნობდეს.

ასეთ ინდიკატორად გვესახება მოსახლეობის ***ეკონომიკური კმაყოფილების (დაკმაყოფილების) ინდექსი,*** ანუ ცალკეული ინდივიდების (შინამეურნეობების) მატერიალური (ეკონომიკური) მდგომარეობის ცვლილების სუბიექტური აღქმის ჯამური, აგრეგირებული მაჩვენებლის თანაფარდობა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ინდექსთან:

$\mathbf{I_{ეკი} = I_{მმი}/I_{მშპ}}$,

სადაც

$\mathbf{I_{ეკი}}$ -მოსახლეობის ეკონომიკური კმაყოფილების (დაკმაყოფილების) ინდექსი;

$\mathbf{I_{მმი}}$ **-** მოსახლეობის მატერიალური (ეკონომიკური) მდგომარეობის ცვლილების ინდექსი;

$\mathbf{I_{მშპ}}$ - მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ინდექსი.

სხვა სიტყვებით, მოსახლეობის ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსის გაანგარიშებისას ერთმანეთს ეფარდება მისი *მატერიალური მდგომარეობის აბსოლუტური ცვლილების* - ***მატების/კლების*** *ინდექსი* და მთლიანი შიგა პროდუქტის **ზრდის** (და არა მატების/კლების) ინდექსი.

ფაქტობრივად, *ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსმა* უნდა აჩვენოს გარკვეული პერიოდისათვის (როგორც წესი, ბოლო ერთი წლისთვის) კორელაციის ის ხარისხი, რომელიც არსებობს საზოგადოებრივი დოვლათის ზრდასა და მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის, ინდივიდუალური კეთილდღეობის ცვლილების სუბიექტური აღქმის კოლექტიურ გამოვლენას შორის. ამასთან, რადგანაც ადამიანთა მიერ საკუთარი კეთილდღეობის აღქმა სუბიექტურია, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ინდივიდუალური მოხმარების ცვლილების ოფიციალური სტატისტიკური შეფასებისაგან. მასში უკვე „დეფლირებულია" ფასების ზრდის გამო მიღებული ნომინალური ზრდის ეფექტი. ამიტომ მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ინდექსად გამოყენებული უნდა იყოს ამ ინდიკატორის რეალური და არა ნომინალური ზრდა.

ადამიანთა სუბიექტური განწყობა შეიძლება დადგინდეს სპეციალური შერჩევითი კვლევით, მათ შორის შინამეურნეობათა შერჩევითი გამოკითხვით. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ორგანიზებულ შინამეურნეობათა ყოველკვარტალური კვლევების ამჟამად მოქმედ კითხვარს შეიძლება დაემატოს კითხვა: **როგორ შეაფასებდით თქვენი და თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობას ბოლო 12 თვის მანძილზე:**

- გაუმჯობესდა;
- უცვლელი დარჩა;
- გაუარესდა[7].

იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი შიგა პროდუქტთან მიმართებაში შეიძლება არსებობდეს ასევე სამი ვარიანტი (მთლიანი შიგა პროდუქტი წინა წელთან/პერიოდთან შედარებით *იზრდება, მცირდება ან უცვლელი რჩება*), დამოკიდებულება მაკროეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის მიერ საკუთარი მდგომარეობის ცვლილების სუბიექტურ აღქმას შორის შეიძლება წარმოვიდგინოთ მატრიცის სახით, სადაც მთლიანი შიგა პროდუქტსა (X) და მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის (Y) კომბინაცია წარმოებს ზრდის (1), შემცირების (-1) ან უცვლელობის (0) პირობებში:

მატრიცა

მთლიანი შიდა პროდუქტი (X)	მოსახლეობის სუბიექტური აღქმით მათი მატერიალური მდგომარეობა (Y)		
	გაიზარდა	უცვლელი დარჩა	შემცირდა
გაიზარდა	$\mathbf{X_1 Y_1}$	$X_1 Y_0$	$X_1 Y_{-1}$
უცვლელი დარჩა	$X_0 Y_1$	$\mathbf{X_0 Y_0}$	$X_0 Y_{-1}$
შემცირდა	$X_{-1} Y_1$	$X_{-1} Y_0$	$\mathbf{X_{-1} Y_{-1}}$

მოტანილი ცხრა ვარიანტიდან:

- **საუკეთესო ანუ ოპტიმალურია**, როდესაც იზრდება როგორც ქვეყნის ეკონომიკა, ისე მოსახლეობის (შინამეურნეობათა) განცდა საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა ($\mathbf{X_1 Y_1}$);
- **არაეფექტიანია** ეკონომიკური პოლიტიკა, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობის კეთილდღეობის განცდა ვითარდებიან სხვადასხვა მიმართულებით ($X_1 Y_{-1}$; $X_{-1} Y_1$). საქართვე-

[7] შეიძლება დასმული იქნას კითხვები უფრო დეტალური პასუხების მისაღებად, მაგალითად, სამი სავარაუდო პასუხის ნაცვლად მიღებულ იქნას ხუთიდან ერთერთი სავარაუდო ვარიანტი: 1.

ლოს ბოლო თითქმის ცხრაწლიანი პერიოდი (2003-2012 წწ.) ძალიან ახლოს იყო ეკონომიკის განვითარების ($X_{1\ -1}$) მოდელთან.

- ყველაზე **ცუდია**, როდესაც როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკურ ზრდას, ისე მოსახლეობის მდგომარეობის ცვლილებას უარყოფითი ვექტორით ვითარდება ($\mathbf{X_{-1}Y_{-1}}$);

- ყველაზე **„სტაბილურია"**, როდესაც წინა პერიოდთან შედარებით ადგილი არა აქვს მაკროეკონომიკურ ზრდასა და შინამეურნეობათა მატერიალური მდგომარეობის ცვლილების განცდას ($\mathbf{X_0\ Y_0}$);

ამასთან, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების განცდას ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის შემცირების შემთხვევაში ($X_{-1}\ Y_1$), ან ორივე მოცემულობის უცვლელობას ($\mathbf{X_0\ Y_0}$), შეიძლება მხოლოდ ჰიპოთეტურად ჰქონდეს ადგილი. ძნელი წარმოსადგენია, ქვეყანაში მცირდებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტი, ხოლო მისი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის, კეთილდღეობის ვექტორი დადებითი იყოს[8], ან ერთი წლის მანძილზე მთლიანი შიგა პროდუქტის რეალური მოცულობა უცვლელი დარჩეს[9] და მოსახლეობის საკუთარი კეთილდღეობის თვითშეფასებაც აბსოლუტურად ნეიტრალური, „ნულოვანი" იყოს.

მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების ტრენდი შინამეურნეობების გამოკითხვით მიღებული პასუხების მიხედვით დგინდება. თუ, მაგალითად, გამოკითხულთა 45 პროცენტი თვლის, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა განსახილველ პერიოდში (საანგარიშო წლის განმავლობაში) გაუმჯობესდა, 15 პროცენტისთვის - მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო 40 პროცენტისთვის - უცვლელი დარჩა, მაშინ მთელი მოსახლეობის *მატერიალური მდგომარეობის ინდექსი* იქნება: 45 - 15 = 30 (უცვლელი მდგომარეობის მქონე 40 პროცენტის მონაცემი მათემატიკურად ნულის დონეზეა).

შესაბამისად, თუ განსახილველ წელს ქვეყნის მაკროეკონომიკური ზრდა (მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი) შეადგენდა 10 პროცენტს, მაშინ მოსახლეობის *ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსი* იქნება:

30%/110% = 27,3%.

ცნობილია, რომ ადამიანები, როგორც წესი, უფრო იოლად ეგუებიან ეკონომიკურ შეჭირვებას, ვიდრე უსამართლობას და მიიჩნევენ, რომ მათი პირადი შემოსავლები, მატერიალური მდგომარეობა, კეთილდღეობა უნდა იზრდებოდეს (იცვლებოდეს) ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან მაღალ დადებით კორელაციაში. მატერიალური მდგომარეობის აღქმის ინდექსის უარყოფითი მნიშვნელობისას ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსმა „არ უნდა დაკარგოს" ის ვარიაცია, *ვარიაციის გაქანება*, რაც ყალიბდება მთლიანი შიგა პროდუქტის ცვლილების **დადებით** და მოსახლეობის მდგომარეობის ცვლილების აღქმის **უარყოფით** ვექტორებს შორის. აღნიშნულის გათვალიწინებით, ***მატერიალური (ეკონომიკური) მდგომარეობის ცვლილების ინდექსის* უარყოფითი მნიშვნელობისას ის, ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსის მისაღებად, მთლიანი შიგა პროდუქტის ინდექსზე კი არ უნდა გაიყოს, არამედ უნდა გამრავლდეს.**

მაგალითად, თუ გამოკითხულთა მხოლოდ 20 პროცენტი თვლის, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, 60 პროცენტისთვის - მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო 20 პროცენტისთვის - უცვლელი დარჩა, მაშინ მთელი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ინდექსი იქნება: 20 - 60 = -40(%), ხოლო *ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსი* (მთლიანი შიგა პროდუქტის ზემოხსენებული 10%-იანი ზრდის პირობებში):

-40% * 110% = -44%.

ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსს შემეცნებითთან ერთად აქვს საკმაოდ მაღალი გამოყენებითი ფასეულობა. იგი გამოსაყენებელია ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად. რაც უფრო მაღალია მისი მაჩვენებელი, მით უფრო ეფექტიანია იგი, და პირიქით. რაოდენობრივად, თუ ეს ინდექსი აღემატება 50 პროცენტს, მაშინ მდგომარეობა კარგია, თუ 0-დან 50 პროცენტამდე - მაშინ მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, თუ ეს მაჩვენებელი უარყოფითი სიდიდეა, მაშინ მდგომარეობა ცუდია და სასწრაფოდაა მისაღები ზომები მის გამოსასწორებლად. ინდექსის უარყოფითი მნიშვნელობა აჩვენებს, რომ ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ვექტორები **სხვადასხვა მიმართულებით** ვითარდებიან და მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ გრძნობს ქვეყნის მთლიანი დოვლათის მატების ეფექტს, ვერ ითავისებს იმ „რეფორმების" მიზანშეწონილობასა და დროულობას, „საზოგადოებრივ სიკეთეს" („ბრჭყალებში" თუ „ბრჭყალებს გარეშე"), რომლებსაც მოცემულ ეტაპზე მმართველი ძალა ახორციელებს... ამის სადემონსტრაციოდ შეგვიძლია მოვიტანოთ კონკრეტული მონაცემები საქართველოს ბოლო წლების მიხედვით.

ცხრილი

საქართველოს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება 2003-2011 წლებში

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით;
(პროცენტი გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან)

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
გაუმჯობესდა	11,5	11	12,2	13,6	11,6	13,3	11	8,2	7,8
უცვლელი დარჩა	50,4	53,5	52,6	48,4	42,0	42,9	44,1	46,6	45,3
გაუარესდა	38,2	35,6	35,1	38,1	46,3	43,8	44,9	45,3	46,8

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 2003 წელთან შედარებით იმ შინამეურნეობათა რაოდენობა, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, 2011 წლისთვის თითქმის 1.5-ჯერ შემცირდა, ხოლო მათი რაოდენობა, ვისი მდგომარეობა გაუარესდა, პირიქით, საგრძნობლად (თითქმის -ით) გაიზარდა. ეკონომიკურ *მდგომარეობა გაუარესებულ* ყოველ 100 შინამეურნეობაზე 2003 წელს *მდგომარეობა გაუმჯობესებული* 30 შინამეურნეობა მოდიოდა, 2011 წელს კი - მხოლოდ 17.

აღნიშნული გარემოება უშუალოდ აისახა მოსახლეობის ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსში, რომელიც ბოლო წლებში მკაფიოდ გამოხატული ნეგატიური ტენდენციის მატარებელი იყო.

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ინდექსი	-26,7	-24,6	-22,9	-24,5	-34,7	-30,5	-33,9	-37,1	-39
მოსახლეობის ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსი	-29,7	-26,1	-25,1	-26,8	-39,0	-31,2	-32,6	-39,4	-41,8
მშპ-ის ზრდის ინდექსი	111,1	105,9	109,6	109,4	112,3	102,3	96,2	106,3	107,2

გრაფიკი



შესაძლებელია კვლევების ჩატარება ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსის გასაანგარიშებლად არა მხოლოდ მთელი მოსახლეობის, არამედ მისი ცალკეული სოციალური, ასაკობრივი ჯგუფების, რეგიონების მიხედვით, ქრონოლოგიურ ჭრილში და ა.შ. მიღებული პასუხები, ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად და უკვე შემუშავებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში ცვლილებების შესატანად. შესაძლებელია, აგრეთვე აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით საერთაშორისო შედარებების განხორციელება, ანუ მას ფართო გამოყენებითი არეალი გააჩნია.

დარწმუნებული ვარ, *ეკონომიკური კმაყოფილების ინდექსი* თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემაში.

2013 წლის თებერვალი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Happy Planet Index – 2012. - http://www.happyplanetindex.org/data/
2. Life Satisfaction. - http://www.oecdbetterlifeindex.org/topics/life-satisfaction/
3. The Economist Intelligence Unit's quality-of-life index. - http://www.economist.com/media/pdf/QUALITY_OF_LIFE.pdf
4.О. Антипина. Экономическая теория счастья как направление научных исследовании. «Вопросы экономики», №2, 2012.
5. Н. Петрова. Счастье в условных единицах. – «Коммерсантъ Деньги» № 51(908), 24.12.2012.
6. М. Флербе. За пределами ВВП: В поисках меры общественного благосостояния. «Вопросы экономики», №№2-3, 2012.
7. იოსებ არჩვაძე. ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი: არსი და გამოყენებითი ღირებულება. – „ახალი ეკონომიკა", 1, 2012.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. – www.geostat.ge.

POPULATION' ECONOMIC SATISFACTION INDEX: THE CONCEPT AND SCOPE OF USE

JOSEPH ARCHVADZE
Ph.D (Economy)

Population's economic Satisfaction Index (PESI) shows us the quality of correlation between the macroeconomic growth and changes in individual's (household) economic, material condition, more precisely saying, between changes of such perception.

While calculating PESI of population we should take the ration of each other: its absolute changes of material condition-growing/reduction index and the index of GDP growth (and not increase/reduction) index.

PESI should demonstrate for the some certain period the quality of such correlation, which exists between the growth of society treasure and population´s material condition, between collective subjunctive perception of changes of individual´s welfare. At the same time, while people percept their personal welfare subjectively, it can significantly be different from the official statistical estimation of individual consumption change.

Nominal growth effect obtained due to increased prices is already included in it. That is why for growth of GDP index it should be used real and not nominal growth of this indicator. At the same time negative meaning of material (economic) condition changing index, to get ESI, it should not be divided into GDP index, but it should be multiplied by it.

PESI has not only cognition, but also quite a high usage value. It can be used for estimation of policy efficiency. The higher its index, the more effective it can be and vice versa.